

# შავი ზღვა როგორც ლიტერატურული და კულტურული სივრცე

საერთაშორისო კონფერენცია

თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2018 წლის 25-27 ოქტომბერი

## თეზისების წარმოდგენის ბოლო ვადა: 2018 წლის 15 მაისი

შედარებითი ლიტერატურის მოწოდებაა, გათავისუფლდეს ეროვნული ნიშნით დაყოფისაგან, მაგრამ ეს მან ხანგრძლივი გზის გავლის შემდეგ იტვირთა. საწყის ეტაპზე ის იცავდა და ადარებდა ეროვნული ლიტერატურული ტრადიციებისაგან შედგენილ ერთობლიობებს, რომლებიც ერთმანეთისგან ენებით იყო გამოყოფილი. მხოლოდ მეორე ეტაპზე, ახლახანს, ის გათავისუფლდა ამ შეზღუდვებისგან და უფრო მეტად დაინტერესდა ფორმებისა და იდეების ცირკულაციითა და გადაცემით. ერთგვარი ტრანსნაციონალური პერსპექტივა, რომელიც, დაეყრდნობა რა ახალ მეთოდოლოგიას, კიდევ უფრო შორს შეიძლება წავიდეს, თუ დაისახავს პოსტ-ტრანსნაციონალურ მიზანს.

ამ განახლების ცნებით ინსტრუმენტებს შორის ფიგურირებს „ლიტერატურული სივრცის“ კონცეპტი, რომელიც შთაგონებულია დეტერიტორიალიზაციის დელეზისეული ნააზრევით და ლიტერატურის თეორიის სხვადასხვა ნაშრომებით<sup>1</sup>. ლიტერატურული სივრცე, რომელიც მოიაზრება გეოგრაფიისა და ისტორიის გადაკვეთაზე, მოიცავს მრავალ ლიტერატურასა და მრავალ ენას რეგიონალურ თუ ეროვნულ დონეზე, რომლებსაც ერთმანეთთან აახლოებს განხილული თემების, გადმოცემული დისკურსებისა თუ გამოყენებული ფორმების გაზიარება. ამის მაგალითებს გვთავაზობს კარიბი, ხმელთაშუაზღვა თუ ბალკანები, რომელთაგან პირველმა ორმა უკვე ისარგებლა ამ სახის ხედვით.

შავი ზღვა და მისი აუზის ექვსი ქვეყანა (საქართველო, თურქეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, უკრაინა, რუსეთი), მისი მნიშვნელოვანი საპორტო ქალაქები, მისი კულტურული მრავალფეროვნება და მისი ისტორია, რომელიც ანტიკური ხანიდან იწყება, სანიმუშო შესაძლებლობას იძლევა იმისათვის, რომ ჩვენ ის ამ პერსპექტივაში შევისწავლოთ.

კვლევის პირველი ეტაპი იქნება საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზება თბილისში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2018 წლის ოქტომბერში.

---

<sup>1</sup> კერძოდ, Emily Apter, *The Translation Zone*, Princeton University Press, 2006 et Bernard Westphal, *La géocritique. Réel, fiction, espace*, Paris, Minuit, 2007.

მოხსენებები შეეხება ინტერდისციპლინურ კვლევას დიაქრონიასა და სინქრონიასში შემდეგი მიმართულებებით:

- I. შავი ზღვის რეპრეზენტაცია ეროვნული იდენტობების კულტურულ და ლიტერატურულ ჩამოყალიბებაში
  - იდენტობების პრობლემატიკა
  - მემკვიდრეობების, მეხსიერებების, რწმენების და რელიგიების გამოყენება
  - ინტერკულტურულობის ფენომენები
  - ლინგვისტური კონტაქტები, ენების ცირკულაცია
  - ფოლკლორი: პოეზია, სიმღერა, მუსიკა და ცეკვა
- II. ლიტერატურების წარმოშობა
  - ლეგენდარულის და ბერძნულ-რომაული მითოლოგიის გადმოცემა; ბერძნულ-რომაული ცივილიზაციის გავლენა
  - ლიტერატურული კულტურა ანტიკური ხანიდან დღემდე
  - პირველი ეროვნული ლიტერატურები
- III. სივრცობრიობა
  - შავი ზღვა და ევროპა
  - შავი ზღვა და აზია
  - აგრარული საზოგადოება და ურბანული საზოგადოება
  - სივრცის აღმნიშვნელი ლიტერატურულ რეალობაში
  - სივრცის რეპრეზენტაციის ინტერმედიალური მიდგომები
- IV. შავი ზღვის კულტურული სემანტიკა - ლიტერატურული სივრცე და იმპერიული მემკვიდრეობა
  - იმპერიული მემკვიდრეობა და შავი ზღვის სიმბოლური და აფექტური მნიშვნელობების გაცოცხლება
  - პოსტკოლონიური მიდგომები

შესაძლებელია სხვა თემების დამატება, რომლებიც შავი ზღვის ლიტერატურულ და კულტურულ სივრცეს ინტერდისციპლინურ ჭრილში შეისწავლის.

მოხსენებების ენებია: ქართული, ფრანგული, ინგლისური

*კონფერენციის მასალები გამოქვეყნდება ევროპის შედარებითი ლიტერატურის ასოციაციის კრებულში.*

კონფერენციაში მონაწილეობის მსურველებმა **2018 წლის 15 მაისამდე** უნდა გამოაგზავნონ **300 სიტყვიანი** თეზისები მოხსენების ენაზე და ინგლისურად საკვანძო სიტყვებითურთ შემდეგ მისამართებზე:

[mzarodok@yahoo.fr](mailto:mzarodok@yahoo.fr) [mzagho\\_dokhturishvili@iliauni.edu.ge](mailto:mzagho_dokhturishvili@iliauni.edu.ge) - მზალო დოხტურიშვილი  
[atinati\\_mamatsashvili@iliauni.edu.ge](mailto:atinati_mamatsashvili@iliauni.edu.ge) - ათინათი მამაცაშვილი  
[bela\\_tsipuria@iliauni.edu.ge](mailto:bela_tsipuria@iliauni.edu.ge) - ბელა წიფურია

[alexis.nuselovici@univ-amu.fr](mailto:alexis.nuselovici@univ-amu.fr) - ალექსი ნუსელოვიჩი

თეზისებს თან უნდა ახლდეს შემდეგი ინფორმაცია:

- სამოქალაქო სტატუსი (ბატონი, ქალბატონი)
- აკადემიური სტატუსი: (პროფესორი, დამოუკიდებელი მკვლევარი, დოქტორანტი)
- სახელი:
- გვარი:
- დაწესებულება:
- საფოსტო მისამართი:
- ტელეფონის ნომერი:
- ელექტრონული მისამართი:
- მოხსენების სათაური (მაქსიმუმ 20 სიტყვა):
- თეზისები მოხსენების ენაზე და ინგლისურად

მოხსენებას შეარჩევს სამეცნიერო კომიტეტი ორი ანონიმური ექსპერტის შეფასების შემდეგ.

**კალენდარი:**

მოხსენების თეზისების წარმოდგენის ბოლო ვადა: **2018 წლის 15 მაისი**

სამეცნიერო კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეტყობინების ბოლო ვადა: **2018 წლის 30 ივნისი**

კონფერენციის პროგრამის გამოქვეყნება: **2018 წლის 25 სექტემბერი**

**სამეცნიერო ხელმძღვანელები:** ალექსი ნუსელოვიჩი - ექსი-მარსელის უნივერსიტეტი, მზალო დოხტურიშვილი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

**საორგანიზაციო კომიტეტი:** ნინო აბაკელია, მზალო დოხტურიშვილი, ათინათი მამაცაშვილი, ალექსი ნუსელოვიჩი, ინგა ლუტიძე, ბელა წიფურია, მანანა ჯავახიშვილი

**სამეცნიერო კომიტეტი:** ნინო აბაკელია, ზაალ ანდრონიკაშვილი, ბეატრის გონზალესი-ნუსელოვიჩი, ჟერარ დედეიანი, მზალო დოხტურიშვილი, თამარ ლომიძე, ათინათი მამაცაშვილი, ალექსი ნუსელოვიჩი, ირმა რატიანი, ნინო ფირცხალავა, პაატა ჩხეიძე, ინგა ლუტიძე, ბელა წიფურია, გრიგოლ ჯოხაძე